სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/169

ქ. თბილისი

2 ნოემბერი 2023 წ.

გამოცდების ტესტირების ფორმით ჩატარების პროცესში მონაწილე პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრის უფროსის თალიკო ჟვანიას სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 2 ნოემბრის №01-05-02/26 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოცდების ტესტირების ფორმით ჩატარების პროცესში ჩართული სტუ-ის პერსონალის (მეთვალყურეები, კურატორები, ადმინისტრატორები და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები) შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათობრივი ანაზღაურების ფორმით, ერთი საათი 8 ლარის ოდენობით.
2. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**